ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 117

ქალაქი ქუთაისი 31 ოქტომბერი 2018 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა
და საქალაქო მეურნეობის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ნოემბრის
№ 28 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24–ე მუხლის 1–ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 23-ე მუხლის მე-7 პუნქტის, 27-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტის საფუძველზე:

მუხლი 1. ცნობად იქნეს მიღებული:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გრიგოლ შუშანიას 2018 წლის 5 ოქტომბრის №539-02 წერილობითი განცხადება მისი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის შემადგენლობიდან გასვლის შესახებ.

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს, გრიგოლ შუშანიას, 2018 წლის 5 ოქტომბრის №539-02 წერილობითი განცხადების საფუძველზე, მ/წლის 5 ოქტომბრიდან შეწყვეტილი აქვს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრის უფლებამოსილება.

(ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
წევრის, გრიგოლ შუშანიას 2018 წლის 5 ოქტომბრის
№539-02 წერილობითი განცხადება განკარგულების
დედანს თან ერთვის)

მუხლი 2. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ნოემბრის №28 განკარგულებაში. კერძოდ, შეიცვალოს განკარგულების პირველი მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „**მუხლი 1.** დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის შემადგენლობა საკრებულოს შემდეგი წევრებისაგან:

1. ბოჭორიშვილი კახაბერი
2. ნიჟარაძე მარეხი

3. ლორთქიფანიძე ოთარი

4. კოსტავა ნანა

5. სიმონიძე მაია

6. არჩაია ელეონორა

7. ახალაძე ალექსანდრე

8. კოპალეიშვილი ამირანი

9. გვენეტაძე ლაშა

10. ჩხიკვაძე რამაზი

11. ჩეჩელაშვილი ნიკოლოზი

12. საღინაძე იმედა

13. ბრეგაძე ბესიკი

14. კლდიაშვილი ვლადიმერი

15. გოგისვანიძე დავითი.“

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია